სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის

№3 საჯარო სკოლა

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

2018/2019 სასწ. წელი

საკვლევი თემა:

„მოსწავლეთა ჩართულობის პრობლემები მუსიკის გაკვეთილზე მე-2(4) კლასში და მათი გადაჭრის გზების ძიება“

კვლევის ავტორი: ნონა ბერუაშვილი

მუსიკის უფროსი მასწავლებელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი

თემის აქტუალურობა

თავი I.

საკვლევი საკითხის მიმოხილვა.....7

1.1. მოკლე ინფორმაცია მე-2(4) კლასის მოსწავლეთა შესახებ.....7

1.2. პრობლემა და საკვლევი საკითხი.....7

1.3. პრობლემის გამომწვევი მიზეზები.....8

1.4. კვლევის მიზანი.....8

1.5. კვლევის ამოცანები.....8

თავი II.

2.1.ლიტერატურის მიმოხილვა.....9

თავი III.

კვლევის დიზაინი.....13

3.1. კვლევის სამიზნე ჯგუფი.....13

3.2. კვლევის მთავარი კითხვები.....14

3.3. კვლევის მეთოდები.....14

3.4. კვლევის ვადები.....15

თავი IV.

კვლევის შედეგები.....16

4.1. მონაცემთა ანალიზი.....16

4.2. მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები.....16

4.3. მშობელთა გამოკითხვის შედეგები.....18

4.4. კვლევის მიგნებები.....19

4.5. ინტერვენციები.....20

4.6. განხორციელებული ცვლილებები.....21

თავი V.

ინტერვენციების შეფასება.....21

რეკომენდაციები

დასკვნა.....23

გამოყენებული ლიტერატურა

დანართები

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის მიზანია გამოვიკვლიო რა არის ის მიზეზები, რომელიც ხელს უშლის მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესში ჩართულობაზე. მე, როგორც მასწავლებელს, გამუდმებით მიწევს ფიქრი იმაზე, თუ როგორ გავაუმჯობესო მისაღწევი შედეგები, მიზნის მისაღწევად სხვადასხვა აქტივობის განხორციელება მიხდება, მათ შორის ერთ–ერთია ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა ზემოთ აღნიშნული თემის ირგვლივ.

2019 წლის თებერვლის თვიდან დავგეგმე კვლევის განხორციელება დაწყებით საფეხურზე, მე–2(4) კლასში.

საკვლევი საკითხი გამომდინარეობს საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებებიდან. დამეთანხმებით, თემა ძალიან აქტუალურია და მნიშვნელოვანი სასწავლო შედეგების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

იმედი მაქვს კვლევის შედეგები დამეხმარება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაში. ჩემი მოსწავლეები ჩამოყალიბდებიან კარგ მსმენელებად და აქტიურად ჩაერთვებიან საგაკვეთილო პროცესში. კვლევის შედეგების ანგარიშს გავაცნობ კოლეგებს, გავუზიარებ საკუთარ გამოცდილებას, ჩემი რეკომენდაციები დაეხმარება კოლეგებს შედეგების გაუმჯობესებაში.

მადლობა მინდა გადავუხადო სკოლის ადმინისტრაციას, კოლეგებს, მშობლებს და მოსწავლეებს, რომელთა მხარდაჭერის, თანადგომისა და თანამშრომლობის გარეშე ვერ შევძლებდი კვლევის განხორციელებას.

თემის აქტუალურობა

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში, აქტუალური და სავალდებულო გახდა მუსიკის სწავლა.

მუსიკას ესთეტიკური აღზრდის საგნებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მას ყველაზე ძლიერი გავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანზე. მუსიკის ზეგავლენით ადამიანის ემოციური სფერო მდიდრდება. მას საკუთარი დამოკიდებულება უყალიბდება სხვადასხვა ფასეულობების - სიკეთის, სილამაზის, მიმართ. უვითარდება ეროვნული თვითშეგრძნების გრძნობა...

როგორც უახლესმა სამეცნიერო გამოკვლევებმა აჩვენა, მუსიკას კოგნიტური ხასიათი აქვს და მისი შესწავლა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მოსწავლეთა საერთო აკადემიურ მოსწრებაზე.

ბავშვის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მნიშვნელოვანი და საჭიროა არა მხოლოდ აკადემიური განათლება, არამედ შემოქმედებითი, შემეცნებითი და ფიზიკური აქტივობები, რაც ემოციურ ინტელექტს, კრეატიულ აზროვნებას და ფიზიკური უნარების განავითარებას უწყობს ხელს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სიმღერის სწავლებას ი. გოგებაშვილი ასე აფასებს: ,,სიმღერა სამართლიანად ითვლება ჩვენს დროში სკოლის სულად და გულად. იგი უვითარებს ბავშვს სმენასა, აჩვევს ჰარმონიასა, უსუსტებს და უსპობს ხეპრეობასა და ზრდის მის გულში სინაზესა და სიფაქიზესა. ერთი სიტყვით, აკეთილშობილებს მის ბუნებასა...". იქვე ასკვნის: "...ახლანდელი დროის სკოლა გამანათლებელ ქვეყნებში შეუძლებელია უსიმღეროდ."

ზოგადი მუსიკალური განათლების აქტუალობასთან დაკავშირებით საინტერესოა შემდეგი ფაქტიც: თანამედროვეობის ერთ-ერთმა წამყვანმა მევიოლინემ - ანა-სოფი მუტერმა დაამუშავა მუსიკის სასწავლო პროგრამა გერმანიის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის, მისი აზრით, ,,მუსიკა უნდა იყოს არა მეორადი, არამედ საბაზისო საგანი ყველა სხვა დისციპლინისათვის."

ამგვარი განათლების აუცილებლობას სოციოლოგიური კვლევების სტატისტიკური მონაცემებიც ადასტურებს.

მოსახლეობის საანკეტო გამოკითხვები ავლენს შემდეგ ზოგად ფაქტს: უმეტესობა გამოთქვამს სურვილს, რომ ჰქონდეს ელემენტარული მუსიკალური განათლება, იცნობდეს სანოტო სისტემას და შეეძლოს მუზიცირება; დიდი ნაწილი ნანობს, რომ ბავშვობაში არ ჰქონია შესაძლებლობა, მიეღო მუსიკალური განათლება, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუსიკის გაკვეთილებს განათლებად არ თვლის. სოციოლოგიური კვლევები ადასტურებს ასევე იმას, რომ კომპიუტერსა და მუსიკას ახალგაზრდობის ცხოვრებაში წამყვანი ადგილი უჭირავს. უფრო მეტიც, ტენდენცია ისეთია, რომ მუსიკისკენ სვლა კომპიუტერის მეშვეობით ხდება. ახალგაზრდობას არ გააჩნია ჩამოყალიბებული მუსიკალური გემოვნება და ადვილად ექცევა დაბალი ხარისხის მუსიკის გავლენის ქვეშ.

მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ მუსიკის გაკვეთილები, საბავშვო სიმღების შესწავლა და მოსმენა, საგაკვეთილო პროცესში ვაწყდები მაინც სირთულეებს ელემენტარული თეორიის საკითხებისა და მუსიკის ლიტერატურისადმი, რამდენად პასუხისმგებლობით და ინტერესით ეკიდებიან მოსწავლეები მუსიკის სწავლასა და ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში,სწორედ ეს თემა იქცა ჩემი პრაქტიკის კვლევის ობიექტად.

კომპოზიტორებსა და მუსიკის თეორიაზე ინფორმაციის მიწოდება მოსწავლეებს აძლევს საწყის განათლებას მუსიკის თეორიასა და ისტორიაში. ასევე უქმნის მოსწავლეებს შესაძლებლობას, მომავალში, მიუხედავად აირჩევენ თუ არა ისინი მუსიკალურ კარიერას, იყვნენ მუსიკალური ხელოვნების ობიექტური შემფასებლები და დამფასებლები.

თავი I. საკვლევი საკითხის მიმოხილვა

1.1. მოკლე ინფორმაცია მე-2(4) კლასის მოსწავლეთა შესახებ

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N3 საჯარო სკოლის მე-2 (4) კლასში სწავლობს 24 მოსწავლე. მათ შორის 10 გოგონა და 14 ვაჟი. კლასი მაღალი აკადემიური მოსწრებისაა. ისინი აქტიურად არიან ჩართულები საგაკვეთილო და სასკოლო ცხოვრებაში. ვასწავლი მუსიკას და ვარ კლასის დამრიგებელი. მუდმივად ვზრუნავ პროფესიულ განვითარებაზე - ვეცნობი ახალ მეთოდურ მასალებს, ვიყენებ თანამედროვე კომპიუტერულ ტექნოლოგიებს და ინსტრუმენტებს, მეთოდებსა და ინოვაციებს.

1.2. პრობლემა და საკვლევი საკითხი

საჯარო სკოლების დაწყებით საფეხურზე ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა. განსაკუთრებული სირთულეები შევამჩნიე დაწყებით კლასებში, როცა შემოდის მუსიკალური თემების ახალი და სიღრმისეული გაცნობა-გააზრება. ყურადღება ექცევა ელემენტარული თეორიის საწყისებს. სანოტო დამწერლობის ცოდნას, ნოტების სწორად ჩაწერას, რიტმულობას, ანსამბლურობას, გრძლიობების ზუსტ ცოდნას, ეპოქაზე, სტილზე, ჟანრსა და ფორმაზე სწორ წარმოდგენას. ხშირია შემთხვევები, როდესაც ბავშვები არ ადევნებენ თვალყურს გაკვეთილის მსვლელობას, იწყებენ საუბარს თანაკლასელებთან. არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შემცირებისათვის გადავწყვიტე განმეხორციელებინა კვლევა მეორე კლასში, რომელშიც ჩავრთე ჩემი მოსწავლეები, მშობლები და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები.

1.3. პრობლემის გამომწვევი მიზეზები

1. ბავშვებს უჭირთ ნოტების ჩაწერა და ამოკითხვა სანოტო სისტემაზე, ტემპისა და რიტმის შენარჩუნება, გრძლიობების ამოცნობა.

2. მშობელთა ნაკლები ჩართულობა სასწავლო პროცესში ობიექტური მიზეზების გამო, მშობლების უმეტეს ნაწილს არა აქვს მუსიკალური ელემენტარული განათლება და მუსიკალური კულტურა.

3. მასწავლებლის არაეფექტური უკუკავშირი მოსწავლის უნარის შეფასებისას - ისინი ხშირად ვერ იგებენ რატომ ვერ შეძლო რიტმული ნახაზის სწორად წაკითვა. რატომ საყვედურობენ მასწავლებლები მუდმივად. ამ ფაქტმა შეიძლება სხვადასხვა პრობლემა გამოიწვიოს - მოსწავლეებს გაუქრეთ სწავლის მოტივაცია და გაკვეთილზე ჩართულობის ინტერესი .

1.4. კვლევის მიზანი

2018/2019 სასწავლო წელს ჩავატარე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, რომლის მიზანი იყო მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა და მოტივაციის ამაღლება. გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად დაგეგმილი ღონისძიებების, საჭირო ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება. მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესება და შედეგების შეფასება.

1.5. *კვლევის ამოცანები*

1. მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა
2. დაკვირვება თითოეული მოსწავლის შედეგებზე
3. შედეგების მონიტორინგი
4. მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა გამოკითხვა
5. მონაცემთა ანალიზი
6. შედეგების პრეზენტაცია
7. გამოცდილების გაზიარება

თავი II. ლიტერატურის მიმოხილვა

თავდაპირველად კვლევის დაწყების დროს გავეცანი „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევს, ნაწილი II“, სადაც დეტალურად არის აღწერილი კვლევის მიზანი.

ბრიტანელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს ე.წ.CLEAR მეთოდი, რომელიც თანამონაწ ილეობისთვის ხელისშემშლელი ფაქტორების დიაგნოსტირებისა და მათ დასაძლევად რეკომენდაციების შემუშავების საშუალებას იძლევა.

მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გაკვეთილის მართვისას აკონტროლოს აღნიშნული ფაქტორების უზრუნველყოფა გაკვეთილზე მოსწავლეთა წასახალისებლად.

- წინარე ცოდნა და საჭირო რესურსები ეხმარება მოსწავლეს, ჩაერთოს გაკვეთილში;
- მოტივაცია სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის ჩართულობის უმნიშვნელოვანესი საფუძველია
- სწავლების მეთოდებით ხდება საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა;
- მოსწავლეთა ორგანიზება მოსწავლეთა მობილიზების საშუალებაა;
- მოსწავლეთა შეფასება ის უკუკავშირია, რომელიც შეიძლება მოსწავლეთა ჩართულობის სტიმულად იქცეს.

ჩართულობა. თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესი მოსწავლეთა განსაკუთრებულ აქტიურობას მოითხოვს. ეს გულისხმობს მათ აქტიურ მონაწილეობას არამხოლოდ განათლების მიღების, არამედ თანატოლთა სწავლების პროცესშიც. გაკვეთილზე ჯგუფური მუშაობისას, პროექტებში მონაწილეობისას,

წარმოდგენების დაგეგმვისა თუ განხორციელებისას მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა კონცეფციის უკეთ გაგებაში, უნარ-ჩვევების დაუფლება-განვითარებასა და დამოკიდებულებათა ჩამოყალიბებაში, რაც თავისთავად გულისხმობს გაკვეთილის პროცესში მათ მონაწილეობას.

მოსწავლის მოტივაციის ზრდა მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა. მოტივაცია იზრდება, როდესაც მოსწავლე ხედავს, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი წინსვლის ხელშემყობია და, პირიქით, იკლებს, როდესაც მიაჩნია, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი შედეგის განსჯა-შეფასებაა; მოტივაცია იზრდება მაშინაც, როდესაც მოსწავლე ხედავს დავალების მიზანს, დარწმუნებულია მის საჭიროებაში, ამიტომ მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გააგებინოს, რა მიზანს ემსახურება კონკრეტული დავალება, დაანახოს კავშირი სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარე ცხოვრებას შორის.

მოსწავლეთა ჩართულობა. *მოს*წავლე ჩართულია სწავლის პროცესში, თუ ის მნიშვნელოვან ძალისხმევას იჩენს დავალების შესრულებისას, ზრუნავს შესრულებული დავალების ხარისხზე და ამასთან, შესრულებულ სამუშაოს მისთვის დიდი ღირებულება აქვს (Newmann, 1986). ასეთი მოსწავლეები გამოხატავენ უფრო მეტი ცოდნის შეძენის სურვილს და პოზიტიურ დამოკიდებულებას სკოლისა და სწავლის მიმართ.

სასწავლო მასალები და ტექნოლოგიები. International Society for Technology in Education-ის მიხედვით, სწავლების პროცესში ტექნოლოგიების ინტეგრირებას ძლიერი პოზიტიური ეფექტი აქვს მოსწავლეთა მიღწევებზე მხოლოდ მაშინ, თუ ეს პროცესი შესაბამისად იქნება განხორციელებული. სწავლებაში ტექნოლოგიების წარმატებით დასანერგად აუცილებელია: მასწავლებელთა გადამზადება; სასწავლო გეგმასთან შესაბამისობის დაცვა; მისი, როგორც ერთ-ერთი ძირითადი სასწავლო მასალის ყოველდღიური გამოყენება; თანამშრომლობითი სასწავლო გარემოს შექმნა და ა.შ (International Society for Technology in Education, 2008. Technology and Student Achievement — The ʒIndelible Link).

საკითხის უკეთ გასაცნობად ასევე გავეცანი რ. თაყაიშვილის ნაშრომს- ,,სიახლეები მუსიკის საგნის სწავლებაში'' ქალბატონი რუსუდანი აღნიშნავს, რომ მუსიკის სერიოზული შესწავლა მოსწავლის კოგნიტური და ემოციური სფეროების განვითარებითა და მათი ინტეგრაციის უნიკალურ საშუალებას იძლევა. მოსწავლეთა დაინტერესების ერთ-ერთ საშუალებად მუსიკის საგნის სხვა დისციპლინებთან ინტეგრირებაა მიჩნეული.

ინტეგრირებული სწავლების ეფექტურობა ადრევე იყო აღიარებული. (ამას აღნიშნავდნენ წარსული დროის გამოჩენილი პედაგოგებიც _ ი. ა. კომენსკი, ი. ჰ. პესტალოცი, დ. კ. უშინსკი და სხვა. ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური თვალსაზრისით ინტეგრირებული გაკვეთილი მოსწავლეთა გააქტიურებას, შემეცნებით პროცესებში მათ ჩართვას იწვევს და წარმატებულ სწავლას განაპირობებს. მოსწავლეს, საგანთშორის კავშირების შემთხვევაში, მისთვის საინტერესო საგნიდან შეუძლია აღიქვას და დაინახოს სხვა დისციპლინა.

საკითხი რომ უფრო ნათელი იყოს, უფრო დაწვრილებით დავახასიათებთ მუსიკის კავშირებს სხვადასხვა საგნებთან.

მუსიკას ინტეგრაციის უნიკალური შესაძლებლობები გააჩნია _ მისი ინტეგრაცია, პრაქტიკულად, შესაძლებელია ყველა საგანთან: ცეკვა, თეატრალური ხელოვნება, სახვითი ხელოვნება, ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, საინფორმაციო ტექნოლოგიები და ა. შ.

ცეკვის ინტეგრირება მუსიკის საგანთან ბუნებრივი და თავისთავადი მოვლენაა. ცეკვა უშუალოდ უკავშირდება მუსიკას – ის, ფაქტობრივად, არც არსებობს მუსიკის გარეშე. ცნობილია ისიც, რომ ცეკვა რიტმის გრძნობის განვითარების საუკეთესო საშუალებაა. გაკვეთილზე მოსწავლეები სხეულის
მოძრაობით გადმოსცემენ მუსიკით გამოწვეულ ემოციას, ასევე გაეცნობიან სხვადასხვა ცეკვას, შეისწავლიან მათ ილეთებს.

ასევე უშუალოდაა დაკავშირებული მუსიკის საგანთან თეატრალური ხელოვნებაც. მუსიკალური თეატრი_ ბალეტი, ოპერა მოსწავლეთა მუსიკით დაინტერესების ეფექტური საშუალებაა.

სახვითი ხელოვნების და მუსიკის განვითარება გარკვეული დროიდან პარალელურად მიმდინარეობს – ორივე დარგი, ერთი მხრივ, რელიგიას ემსახურებოდა, მეორე მხრივ კი მას საერო, გასართობი დანიშნულება ჰქონდა. ისეთი მიმდინარეობები, როგორიცაა ბაროკო, კლასიციზმი, რომანტიზმი, იმპრესიონიზმი, მოდერნიზმი, პარალელურად ვითარდებოდა სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში. ეს კავშირები, პარალელები ხელოვნების ორ დარგს შორის საუკეთესო საშუალებას იძლევა ინტეგრირებისათვის. ამით ბევრი მკვლევარი დაინტერესებულა და ამ ორი დარგის ინტეგრაციის არაერთი

კურსია შექმნილი. ერთ-ერთი მიღებული და გავრცელებული ფორმაა მუსიკით მიღებული შთაბეჭდილების დახატვა.

ენისა და მუსიკის პედაგოგებს ბევრი საერთო ამოცანა აქვთ, რომლებიც ეფექტურად გადაიჭრება ამ საგნების გაერთიანების შემთხვევაში. პოეზია,

ლიტერატურა მუსიკის საგანთან ინტეგრაციის დიდ შესაძლებლობებს იძლევა. ვოკალურ მუსიკასთან და მუსიკალურ თეატრთან, პროგრამულ ინსტრუმენტულ ნაწარმოებების შესწავლისას მოსწავლე ეცნობა ლიტერატურულ პირველწყაროს, ლიბრეტოს. მოსწავლეებს უნდა მიეცეთ აგრეთვე საშუალება, რომ მუსიკის მოსმენით გამოწვეული შთაბეჭდილებები ლიტერატურული ჩანაწერის სახით გადმოსცენ.

მათემატიკასა და მუსიკას შორის ღრმა კავშირები არსებობს (მათემატიკური უნარ-ჩვევების გარეშე შეუძლებელია სანოტო ჩანაწერის წაკითხვა), რომელთა გამოკვეთა და გახსნა მუსიკის საგნის არსებულ სასწავლო კურსებში ზედაპირულად ხდება.

ისტორიის კავშირი მუსიკასთან ძალიან მჭიდროა, ვინაიდან მუსიკის ისტორია კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი დარგია. მუსიკის, ისევე როგორც ხელოვნების ნებისმიერი სხვა დარგის განვითარება გარკვეულ პერიოდიზაციას ექვემდებარება, რაც ხშირად სამყაროს განვითარების ეპოქალური დაყოფის პარალელურად მიმდინარეობს. ისტორიის, გეოგრაფიის ცოდნა დაეხმარება მოსწავლეს ჩაწვდეს და გაიგოს სხვადასხვა ქვეყნის ფოლკლორული მუსიკის განსაკუთრებულობა, ასევე მუსიკალური მიმდინარეობების და კომპოზიტორთა ხელწერის თავისებურებები.

ასევე გავიარე ორფ-შულვერის კურსი ,,პედაგოგიკა და პრაქტიკული სასკოლო შემოქმედებითი მუშაობა, მათი დანერგვა და განვითარება სასკოლო სივრცეში, როგორც სწავლების პროცესის ეფექტური ფორმა'', სადაც გავეცანი პრაქტიკული მუშაობის სხვადასხვა მეთოდს.

ამ კურსის მეშვეობით გავეცანი, რომ მე-20 საუკუნის გერმანელი კომპოზიტორის კ. ორფის მეთოდი მოძრაობის, სიმღერისა და საორკესტრო ინსტრუმენტების დაკვრის სინთეზია. ორფის მეთოდს ორფ შულვერის სახელით იცნობენ, რაც გერმანულად სასკოლო მუშაობას ნიშნავს. დღეს სწორედ ამ მეთოდით მსოფლიოს 50 ქვეყანაში სკოლებსა და ბაღებში მუსიკას ასწავლიან. აქ თამაშით სწავლობენ მუსიკას.

თავი III. კვლევის დიზაინი

3.1. კვლევის სამიზნე ჯგუფი

1. მე-2 კლასის მოსწავლეები
2. მოსწავლეთა მშობლები
3. დაწყებითი კლასების მასწავლებლები

3.2. კვლევის მთავარი კითხვები

კვლევის მიზნის დასახვის შემდეგ ჩამოვაყალიბე მთავარი კითხვა, რომელიც საკითხის ამომწურავად შესწავლაში დამეხმარებოდა

კვლევის მთავარი კითხვა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

რა არის მე-2 კლასში გაკვეთილზე ჩართულობის შემაფერხებელი მიზეზები?

კვლევის მთვარ კითხვაში აღნიშნული პრობლემის მიზეზები დადგენაში დამეხმარა შემდეგ ქვეკითხვებზე პასუხის გაცემა:

- რა გავლენას ახდენს სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება მოსწავლეების ჩართულობაზე?
- როგორ გავხადო საგაკვეთილო პროცესი მრავალფეროვანი და საინტერესო?
- რა სერსურსებით გავამდიდრო მუსიკის გაკვეთილი
- როგორი მიდგომები და სტრატეგიები მივიჩნიოთ საუკეთესოდ ,რათა მოსწავლეთა ჩართულობა იყოს მაღალი?
- რა დაეხმარება მათ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში?
- როგორი გაკვეთილი იქნება მათთვის საინტერესო?

3.3. კვლევის მეთოდები

1. მოსწავლეთა ანკეტირება, ანონიმური (დახურული კითხვები)
2. მასწავლებელთა ანკეტირება, ღია და დახურული კითხვები (ანონიმური)
3. მშობელთა ანკეტირება, ღია და დახურული კითხვები(ანონიმური)
4. ინტერვიუ მშობლებთან
5. ფოკუსირებული დაკვირვება მოსწავლეზე

კვლევის მონაცემთა შეგროვების მეთოდებად გამოვიყენე ფოკუს-ჯგუფი და ანკეტირება.

ფოკუს-ჯგუფის ჩატარების მიზანი იყო ინფორმაცია მიმეღო მასწავლებლებისა და მოსწავლეებისაგან, რაც დამეხმარებოდა კითხვარის შედგენაში.

ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა მე-2 კლასის ყველა მასწავლებელთან და მოსწავლეთა მშობლებთან. შეხვედრებისათვის შევადგინე სპეციალური კითხვარი, რომლის საშუალებითაც შევძელი მონაწილეები აქტიურად ჩართულიყვნენ დისკუსიაში, ღიად და გულწრფელად გამოეხატათ საკუთარი პოზიციები საკითხთან დაკავშირებით. მონაცემთა შეგროვების აღნიშნული მეთოდის გამოყენებით დავადგინე მშობლებისა და მასწავლებლების დამოკიდებულება არსებული პრობლემისადმი, რაც ძალიან დამეხმარა კითხვარის შედგენაში.

კითხვარი მომზადდა მე-2 კლასის მოსწავლეებისათვის (დანართი 1) , მოსწავლეთა მშობლებისათვის (დანართი2) , მასწავლებლებისათვის (დანართი 3).

მოსწავლეებმა კითხვარი შეავსეს სკოლაში, მოსწავლეთა მშობლებმა და მასწავლებლებმა კი შინ. კითხვარის შევსებაში მონაწილეობა მიიღო 24 მოსწავლემ და მათმა მშობელმა. მშობლებისა და მასწავლებლებისათვის კითხვარის შესავსებად განისაზღვრა 3 დღე. დროის ეს მონაკვეთი საკმარისი იყო კითხვარის გასააზრებლად და შესავსებად. მიმაჩნია, რომ კითხვარი ზოგადად წარმოდგენას ქმნის მშობელთა დამოკიდებულების შესახებ საკითხის მიმართ და გვაძლევს რეალურ სურათს.

3.4. *კვლევის ვადები*

2018/2019 სასწავლო წლის მე-2 სემესტრი.

თავი IV. კვლევის შედეგები

4.1. მონაცემთა ანალიზი

კვლევაში მონაწილე ყველა კატეგორიის რესპოდენტი თანხმდება იმაზე, რომ მოსწავლეების მეტი ჩართულობისთვის აუცილებელია კლასი დაიყოს ჰომოგენურ ჯგუფებად ან ინდივიდუალურად მიეცეს საინტერესო ისეთი დავალებები, რაც მათთვის დაძლევადი იქნება. მარტივი დავალებები თანდათან გართულდეს, რაც ხელს შეუწყობს მათ ჩართვას საგაკვეთილო პროცესში.

ასევე გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ მოსწავლეების ჩართულობას გაზრდის მუსიკის გაკვეთილზე ხშირი მუსიკალური ნომრების მოსმენა აუდიო და ვიდეო მასალებით. ანიმაციური ფილმების ჩვენება, რომლებიც გაფორმებულია კლასიკური მუსიკალური ნომრებით. ასევე შეტანილი იქნას გაკვეთილზე სახალისო აქტივობები, სხვადასხვა ტიპის რესურსი.

აგრეთვე გამოიკვეთა რეალური პრობლემა, რომ უჭირთ ელემენტარული თეორიის საკითხები და მასთან დაკავშირებული დავალებების შესრულება. გამოიკვეთა ისიც, რომ კლასგარეშე აქტივობებისა და მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება იშვიათად ხდება.

წარმოგიდგენთ კვლევის შედეგად მიღებულ რაოდენობრივ შედეგებს:

4.2. მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები

ღია და დახურული ანკეტირების საფუძველზე (დანართი N1) დადგინდა, რომ 24 მოსწავლიდან რომელიც გამოიკითხა კითხვაზე:

უსმენთ თუ არა მოსასმენ მასალას მუსიკის გაკვეთილზე - 100% ამბობს -დიახ.

მოსწავლეთა ანკეტირებამ საშუალება მომცა დამენახა, თუ *რომელი სტილის მუსიკა უყვართ* და უსმენენ. შედეგები ასეთია:

ხალხურს -20%

კლასიკურს - 13%

თანამედროვეს - 67%

გამოკითხვისას, უმეტესად *როგორი ტიპის გაკვეთილები უტარდებათ* მოსწავლეთა დიდი ნაწილი ამბობს მასწავლებელთან ერთად ვაგებთ ცოდნას სხვადასხვა აქტივობების გამოყენებით -69%, მასწავლებელი ხსნის მასალას და ჩვენ ვუსმენთ - 12%, ჩვენ ვყვებით წინა დღის ახსნილ მასალას - 19%.

კითხვაზე, *იყენებენ თუ არა მრავალფეროვან რესურსებს გაკვეთილზე* აღმოჩნდა, რომ ეთანხმება - 27%, მოსწავლეთა 60% ამბობს, რომ არ იყენებენ, 13 % ამბობს, რომ ნაწილობრივ იყენებენ.

ჩამოთვლილი აქტივობებიდან რომელს იყენებენ უმეტესად მასწავლებლები თქვენთან გაკვეთილზე: მინი ლექცია - 7%, კითხვა პასუხს - 21%, მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებით მიღებული შთაბეჭდილების გადმოცემა სიტყვით ან ნახატით - 72%.

ასევე გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი ისეთ შესასწავლ თემებს ანიჭებს უპირატესობას, სადაც პრაქტიკულად სიმღერის შესწავლა ხდება - 67%, მოსწავლეთა -27% -ს მუსიკის ისტორია მოსწონს, ხოლო 6%-ს სოლფეჯიოს გაკვეთილები.

გამოკითხულთაგან *უტარდებათ თუ არა კლასგარეშე აქტივობები* ეთანხმება - 7%, არ ეთანხმება - 80%, იშვიათად - 13%;

უტარდებათ თუ არა ინტეგრირებული გაკვეთილები: დიახ - 6%*;* არა - 67%*;* იშვიათად- 27%

გამოკითხულთა 46% თვლის რომ გაკვეთილებზე გამოყენებული მუსიკალური ტერმინები და გაცემული ინსტრუქცია მათთვის გასაგებია, 47% თვლის რომ ნაწილობრივ, 7% ამბობს - არა. მოსწავლეთა გამოკითხვის რაოდენობრივი მონაცემები პროცენტულად წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი 1).

4.3. მშობელთა გამოკითხვის შედეგები

მშობელთა გამოკითხვისას ჩემი მთავარი მიზანი იყო დამედგინა, როგორ ეხმარებოდნენ თავიანთ შვილებს და ხელს უწყობდნენ თუ არა მათი ჩართულობის გაზრდას საგაკვეთილო და სასკოლო ცხოვრებაში.

მშობლების კითხვარის (დანართი N2) ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რომ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა დაბალი ჩართულობის ერთერთი მიზეზი სასწავლო პროცესისადმი მშობელთა დაბალი დაინტერესებაა, აღმოჩნდა რომ მშობელთა დიდ ნაწილს არ გააჩნდა შესაბამისი მუსიკალური განათლება და კულტურა. შესაბამისად ვერ უწევენ სათანადო დახმარებას.

წარმოგიდგენთ გამოკითხვის შედეგებს:

N	შეკითხვა	დიახ	არა	იშვიათად	სულ
1	ხართ თუ არა ჩართული ბავშვის სასკოლო ცხოვრებაში?	12	0	12	24
4	ეხმარებით თუ არა ბავშვს დავალებების შესრულებაში?	5	14	5	24
5	ადევნებთ თუ არა თვალყურს რა დროს უთმობს თქვენი შვილი საშინაო დავალების შესრულებას?	14	7	3	24
6	ხვდებით თუ არა მასწავლებლებს თქვენი შვილის პროგრესის გასაუმჯობესებლად?	5	14	5	24
7	მონაწილეობთ თუ არა სკოლის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში?	5	14	5	24

მშობელთა კითხვარიდან გავიგე, რომ მათი შვილების უმეტესობა - 50% იშვიათად უსმენს მუსიკას თავისუფალ დროს, 30% ხშირად, ხოლო საერთოდ არ უსმენს - 20%;

დავადგინე ისიც, რომ მათი შვილების 10%-ს ხალხური მუსიკა უყვარს, 10%-ს კლასიკური, ხოლო 80% თანამედროვე მუსიკას ანიჭებს უპირატესობას.

აღსანიშნავია, რომ ჩემი კოლეგები დაინტერესდნენ საკვლევი თემით და აქტიური მონაწილეობა მიიღეს კითხვარის შევსებაში. ანკეტირებაში მონაწილეობა მიიღო საწყებითი საფეხურის სხვადასხვა საგნის 10 მასწავლებელმა. კვლევაში მონაწილე მასწავლებელთა უმრავლესობა იზიარებს მოსაზრებას, რომ მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია ნაკლები ჩართულობა, ყურადღების დეფიციტი დიდ პრობლემებს ქმნის კლასში. გამოიკვეთა ისიც, რომ კოლეგებს შორის ხშირად არ ხდება გამოცდილების გაზიარება-პრობლემების ერთობლივი განხილვა და გადაჭრის საერთო გზების ძიება.(დანართი 3)

4.4. კვლევის მიგნებები

მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება:

- მოსწავლეთა დაბალ მოტივაციას და ჩართულობას განაპირობებს მრავალფეროვანი რესურსების არქონა;
- მშობელთა მოუცლელობა და დაბალი ჩართულობა მოსწავლეთა სწავლის პროცესში;
- მშობლები ვერ ეხმარებიან ბავშვებს მუსიკალური განათლების არქონის გამო.

4.5. ინტერვენციები

კვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციისა და მონაცემების ანალიზის საფუძველზე შევიმუშავე ინტერვენციები:

- შევქმნა სოციალურ ქსელში სამიზნე ჯგუფი;
- შევქმნა და გამოვიყენო მეტი რესურსი;
- ვიმუშავო კლასგარეშე აქტივობებზე;
- მეტი სიხშირით დავგეგმო ინტეგრირებული გაკვეთილები.

სოციალურ ქსელში სამიზნე ჯგუფი-

შევქმნა ჯგუფი სოციალურ ქსელში, სადაც გაწევრიანდება თითოეული მოსწავლე და მასწავლებლისგან მიიღებს დამატებით საგაკვეთილო მასალებს. მუსიკალურ რებუსებს, (რომელშიც იქნება გამოყენებული ელ, თეორიის საკითხები) კროსვორდებს, ანიმაციურ ფილმებს, რომლებიც კლასიკური მუსიკით იქნება გაფორმებული.

კლასგარეშე აქტივობები - დავგეგმავ შეხვედრებს. სადაც გამოვიყენებ ორფის მეთოდს , რაც გულისხმობს თამაშით სწავლებას და ძალიან კარგად ანვითარებს რიტმს. ხელნაკეთი ინსტრუმენტებით, რომელსაც შევქმნით ჩვენი ძალებით ,,ჟღარუნები, ჯოხები, და ა.შ. მუსიკისა და ინსტრუმენტების დაკვრის სინთეზის ფონზე შევასრულებთ მოძრაობებს, რაც ჩემი აზრით ძალიან სახალისო და საინტერესო იქნება მოსწავლეებისათვის.

ინტეგრირებული სწავლება - ხშირად მოვახდინო ინტეგრირება, საგანთაშორის კავშირები მათემატიკასთან, პოეზიასთან, ხელოვნებასთან და ჩავატარო ინტეგრირებული გაკვეთილები

4.6. განხორციელებული ცვლილებები

ჩემს მიერ შემუშავებული ინტერვენციების შედეგად განხორციელდა ცვლილებები:

- მეტი ხალისით ასრულებენ მასწავლებლის მიერ ელექტრონული ფორმით გამოგზავნილ დავალებებს.
- მათი ცოდნა მუს. ელ. თორიის საკითხების ირგვლივ უფრო მყარი გახდა.

მოსწავლეები ხშირად საუბრობდნენ მიწოდებული რესურსების მრავალფეროვნებასა და სახალისო მახასიათებლებზე. ამბობდნენ, რომ მოსწონდათ მათთვის შერჩეული რესურსი.

მოსწავლეები ასახელებდნენ საკითხებს, რომელთა ირგვლივაც მათი ცოდნა უფრო გამყარდა (მაგ: სწრაფად ამოიცნობენ გრძლიობებს, ასახელებენ ხაზებზე და ხაზებს შორის ნოტებს და ხალისით ასრულებენ რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებს).

თავი V. ინტერვენციის შეფასება

ინტერვენციის დასრულების შემდეგ განვახორციელე მათი შეფასება, ჩემი შეფასების მიზანს წარმოადგენდა გამეგო:

- გახდა თუ არა მათვის უფრო საინტერესო და სახალისო სოლფეჯიოს გაკვეთილები?
- მოეწონათ თუ არა მათ სოციალური ქსელის დახმარებით დავალებების შესრულება?

- კლასგარეშე აქტივობებით გაიზარდა თუ არა მოტივაცია?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ვაკვირდებოდი მოსწავლეებს. ელექტრონულად მიწოდებული რესურსების და დავალებების შესახებ მოსწავლეების დამოკიდებულება დადებითი იყო, გაიზარდა მოტივაცია მოსწავლეებში, რაც შეეხება მშობლებს რამოდენიმე მათგანთან ინდივიდუალური შეხვედრის შემდეგ მოვისმინე, რომ ბავშვები ინტერესით ასრულებდნენ მიწოდებულ დავალებებს. ასევე იჩენდნენ პასუხისმგებლობას და ცდილობდნენ ინტენსიურად შეემოწმებინათ ჰქონდათ თუ არა ახალი რესურსი მიღებული.

გაიზარდა ასევე მასწავლებელთა ჩართულობა რესურსის მიწოდებასთან დაკავშირებით - განსაკუთრებით ისტ-ში, ინგლისურ ენაში. შეიქმნა სოციალურ ქსელში სპეციალური ჯგუფები, სადაც ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებებს.

რეკომენდაციები

ინტერვენციის შეფასების შემდეგ შევიმუშავე რამდენიმე რეკომენდაცია :

- მასწავლებელმა ხშირად მიაწოდოს მოსწავლეებს სასწავლო ელ. რესურსები
- კიდევ უფრო გაამრავალფეროვნოს რესურსების შინაარსი
- იქონიოს კავშირი და ითანამშრომლოს მშობლებთან.

დ ა ს კ ვ ნ ა

მე-2 კლასში ჩატარებულმა პრაქტიკულმა კვლევამ, რომლის მიზანი იყო გაკვეთილზე მოსწავლეთა მაღალი ჩართულობა და მოტივაციის ამაღლება, ინტერვენციების განხორციელება და შეფასება სასწავლო პროცესში, გაზარდა ჩართულობის ხარისხი და გააუმჯობესა შედეგები.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეებს ჭირდებათ მასწავლებლებისგან აქტიური საგაკვეთილო პროცესის წარმოება, სადაც შევა, სახალისო და ამავე დროს საჭირო აქტივობები: მშობელთა და მასწავლებელთა თანამშრომლობას მნიშვნელოვანი როლი აქვს მოსწავლეთა წარმატებაში. გამოკითხული რესპოდენტები თანხმდებიან, რომ მრავალფეროვანი გაკვეთილების ჩატარება ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში, ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტელექტის მრავალმხრივ განვითარებას. მნიშვნელოვანია მოსწავლეებისათვის უკეთესი სასწავლო გარემოს შექმნა და დამხმარე რესურსების გამოყენება. მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება, საინტერესოდ მიწოდებული მუსიკალური კროსვორდებისა და რებუსების გამოყენება, რესურსების შექმნა, ინტეგრირება საგნებთან, ვიზუალური სქემები და მეტი პრაქტიკული რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოების შესრულება. მუსიკალური მასალის მოსმენა გააღრმავებს, გააძლიერებს სიყვარულსა და მოთხოვნილებას მუსიკის, როგორც საგნის მიმართ, შეუწყობს ხელს მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდას საგაკვეთილო პროცესში.

რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარებაზე

სოციალურ ქსელში კოლეგებს გასაცნობად გავუგზავნე კვლევის ანგარიში და მოვიწვიე პრეზენტაციაზე. კოლეგებმა კმაყოფილება გამოხატეს მონაწილეობის მიღებაზე საკითხის განხილვაში. მათ დეტალურად გავაცანი კვლევის მეთოდები, ინტერვენციები. ვისაუბრე რა ცვლილებები განხორციელდა ინტერვენციების შედეგად, როგორი იყო საბოლოო შედეგები.

კოლეგებმა ყურადღებით მოისმინეს კვლევის ანგარიში და გააკეთეს კონსტრუქციული უკუკავშირი.

უმრავლესობის აზრით საკითხი აქტუალურია, რადგან მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცსში ჩართულობა მაღალ კლასებშიც პრობლემად რჩება. ამიტომ მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით გადადგმული ყველა ნაბიჯი.

კოლეგების აზრით:

- კვლევა საინტერესოა
- ხელს შეუწყობს მათ ინდივიდუალური კვლევითი სამუშაოების ჩატარებაში.
- კვლევა უნდა გაგრძელდეს მომდევნო კლასებშიც, რაც პრობლემას შეამცირებს
- დაეხმარება მათ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის შემაფერხებელი მიზეზების დადგენაში.
- საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდისათვის საჭირო აქტივობების დაგეგმვასა და ეფექტურად განხორციელებაში.
- დაეხმარება მათ პრობლემის სწორად დანახვასა და დაძლევაში.
- დიაგრამები და გამოკითხვის სქემები აადვილებს კვლევის შედეგების აღქმასა და დაძლევას.
- კარგად ჩანს კვლევის ეტაპები და შედეგები.

კოლეგების შეფასება:

- დაწყებითების მასწავლებელი ინგა ხალიბეგაშვილი: კვლევა ეფუძნებოდა პრაქტიკაში არსებულ ნაკლოვანებათა პრევენციის ძიებას, რამაც კარგად იპოვა შედეგზე გასასვლელი გზები. ჩემთვის საინტერესოა საგანთაშორის კავშირით მიღწეული შედეგების გათვალისწინება, პირად პრაქტიკაში გამოსაყენებლად
- მუსიკის მასწავლებელი მაია ქურთაული: კვლევა აქტუალურია ყველა საგნისათვის , როგორც დაწყებით ასევე საბაზო საფეხურებზეც“
- მათემატიკის მასწავლებელი ირმა ვალიშვილი: აღნიშნული კვლევა ჩემთვის როგორც მათემატიკის მასწავლებლისთვის საკმაოდ საინტერესო იყო. გამოვიყენებ მომავალში ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებისათვის
- ბუნებისმეტყველების მასწავლებელი დარეჯან ჯარმელიშვილი: ძალიან მომეწონა სოციალური ჯგუფის შექმნა, ინტერნენტ დავალებების მიცემა. ინტეგრირებული გაკვეთილების იდეა.
- ქართულის მასწავლებელი ნინო ქენქაძე: მოსწავლეთა ჩართულობის სიმცირე ჩვენც ისევე გვაწუხებს, როგორც ყველა საგანს. აღნიშნული კვლევა ძალიან დამეხმარება ჩემს შემდგომ მუშაობაში.

ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ჩემს მიერ განხოციელებული კვლევის შედეგები ჩემს კოლეგებსაც გამოადგათ პრაქტიკის გაუმჯობესებაში და დაეხმარათ მასწავლებლებს სასწავლო პროცესის ეფექტურობის გაზრდაში. კვლევის დროს მიღებული გამოცდილება და მისი განხორციელება პრაქტიკაში დამეხმარა მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაში, რამაც ხელი შეუწყო საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდას და მათ აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას. იმედი მაქვს კვლევის მიგნებების და რეკომენდაციების გათვალისწინება კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას და სწავლის პროცესის მიმართ პასუხისმგებლობის გაზრდას.

ვფიქრობ, კვლევის დროს შეძენილი ცოდნა და გამოცდილება დამეხმარება მომავალშიც ვიმუშაო კვლევაზე საკუთარი და ჩემი კოლეგების პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებისა და სასწავლო გარემოს ეფექტიანობის გაზრდის მიზნით.

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N3 საჯარო სკოლა

მუსიკის მასწავლებელი: ნონა ბერუაშვილი

გამოყენებული ლიტერატურა

1. „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი ნაწილი 2“
2. ინტერნეტ გაზეთი
   http://mastsavlebeli.ge/?p=1915
3. გიორგაძე მიხ. „როგორ ვიმუშაოთ პედაგოგიურ კვლევებზე?“ / ციფრული რესურსი
   http://www.slideshare.net/mylenss/ss-15892201
4. მშობელთა ჩართულობა
   http://kargiskola.ge/parent/pdf/PE_GUIDE_2015.pdf
5. იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტი .,,მუსიკის სწავლების კონცეფცია ზოგადსაგანმანათლებლო რეფორმის კონტექსტში''

   /რუსუდან თაყაიშვილი /

   /ლეილა მარუაშვილი/

6. მუსიკის განსხვავებულად სწავლება ,,კარლ-ორფის'' მეთოდით

7. https://www.radiotavisupleba.ge/a/orfis-metodi/28595549.html
   a.https://www.youtube.com/watch?v=VVPbA0PehxY

დიაგრამა № 1 უსმენთ თუ არა მოსასმენ მასალას მუსიკის გაკვეთილზე?



დიაგრამა № 2 რომელი სტილის მუსიკა მოგწონთ?



დიაგრამა № 3 უმეტესად როგორი ტიპის გაკვეთილები გიტარდებათ?



დიაგრამა №4 იყენებთ თუ არა მრავალფეროვან რესურსებს გაკვეთილზე?



დიაგრამა №5| ჩამოთვლილთაგან მასწავლებელი გაკვეთილზე რომელ აქტივობებს იყენებს?



დიაგრამა № 6| რომელი შესასწავლი თემები უფრო მოგწონთ?



დიაგრამა № 7| კლასგარეშე აქტივობები თუ გიტარდებათ?



დიაგრამა № 8| ასრულებთ თუ არა საშინაო დავალებას დამოუკიდებლად?



დიაგრამა № 9| გიტარდებათ თუ არა ინტეგრირებული გაკვეთილები?



დიაგრამა № 10| გებულობთ თუ არა მასწავლებლის მიერ გამოყენებულ მუსიკალურ ტერმინებს?



1.4. მშობელთა გამოკითხვის შედეგები

დიაგრამა N 1. ხართ თუ არა ჩართული ბავშვის სასკოლო ცხოვრებაში?



დიაგრამა N 2. უსმენს თუ არა თქვენი ბავშვი მუსიკას თავისუფალ დროს?



დიაგრამა N 2 .როგორი მუსიკა უყვარს?



დიაგრამა N 4.ეხმარებით თუ არა ბავშვს დავალების შესრულებაში?



დიაგრამა N 5.ადევნებთ თუ არა თვალყურს რა დროს უთმობს თქვენი შვილი საშინაო დავლების შესრულებას?



დიაგრამა N 6. ხვდებით თუ არა მასწავლებლებს რეგულარულად თქვენი შვილის პროგრესის გასაუმჯობესებლად?



დიაგრამა N 7. მონაწილეობთ თუ არა სკოლის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში?



დანართი N1

მოსწავლეთა გამოკითხვა

1. უსმენთ თუ არა მოსასმენ მასალას მუსიკის გაკვეთილზე?

- დიახ.
- არა.
- იშვიათად

2.რომელი სტილის მუსიკას უსმენთ?

- ხალხურს
- კლასიკურს
- თანამედროვეს

3. უმეტესად როგორი ტიპის გაკვეთილები გიტარდება?

- მასწავლებელი ხსნის მასალას და ჩვენ ვუსმენთ
- ჩვენ ვყვებით წინა დღის ახსნილ მასალას
- მასწავლებელთან ერთად ვაგებთ ახალ ცოდნას სხვადასხვა აქტივობების გამოყენებით

4. იყენებთ თუ არა მრავალფეროვან (სხვადასხვა ტიპის)რესურსებს გაკვეთილზე

- დიახ
- არა
- ნაწილობრივ

5.ჩამოთვლილი აქტივობებიდან რომელს იყენებენ უმეტესად მასწავლებლები თქვენთან გაკვეთილზე ?

- მინი ლექცია
- კითხვა პასუხს
- მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებით მიღებული შთაბეჭდილების გადმოცემა სიტყვით ან ნახატით

6.რომელი შესასწავლი თემები უფრო მოგწონთ?

- თემა: სიმღერის შესწავლა
- თემა: სოლფეჯიოს გაკვეთილები
- თემა: მუსიკის ისტორიიდან

7. გიტარდებათ თუ არა კლასგარეშე აქტივობები?

- დიახ
- არა
- იშვიათად

8.ასრულებთ თუ არა საშინაო დავალებებს?

- დიახ
- არა
- იშვიათად

9. გიტარდებათ თუ არა ინტეგრირებული გაკვეთილები?

- დიახ
- არა
- იშვიათად

10.გებულობთ თუ არა მასწავლებლის მიერ გამოყენებულ მუსიკალურ ტერმინებს და მოცემულ ინსტრუქციებს

- დიახ
- არა
- ნაწილობრივ

დანართი N2

კითხვარი მოსწავლეთა მშობლებისთვის

მოგესალმებით!

ვატარებ კვლევას მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობასთან დაკავშირებით. თქვენი, როგორც მშობლის მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია კვლევის წარმატებისათვის.

მადლობას გიხდით მონაწილეობისათვის.

მშობელი ----------

1.ხართ თუ არა ჩართული ბავშვის სასკოლო ცხოვრებაში?

- დიახ
- არა
- იშვიათად

2.რა სიხშირით უსმენს თქვენი შვილი მუსიკას თავისუფალ დროს?

- ხშირად
- იშვიათად
- საერთოდ არ უსმენს

3.როგორი მუსიკა უყვარს ?

- ხალხური
- კლასიკური
- თანამედროვე

4.ეხმარებით თუ არა ბავშვს დავალებების შესრულებაში?

- დიახ
- არა
- იშვიათად

5.ადევნებთ თუ არა თვალყურს რა დროს უთმობს თქვენი შვილი საშინაო დავლების შესრულებას?

- დიახ
- არა
- იშვიათად

6.ხვდებით თუ არა მასწავლებლებს რეგულარულად თქვენი შვილის პროგრესის გასაუმჯობესებლად?

- დიახ
- არა
- იშვიათად

7.მონაწილეობთ თუ არა სკოლის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში?

- დიახ
- არა
- იშვიათად

8.რას აკეთებთ იმისათვის, რომ თქვენი შვილი კარგ მსმენელად ჩამოყალიბდეს?

დანართი N3

კითხვარი მასწავლებელთათვის

ვატარებ კვლევას „ როგორ გავზარდოთ მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში.“ გთხოვთ შეავსოთ ეს კითხვარი, რომელიც დამეხმარება თქვენი გამოცდილების გასაზიარებლად.

რომელ საგანს ასწავლით?----------

1.გაქვთ თუ არა შეხვედრები მშობლებთან მოსწავლეთა ჩართულობასთან დაკავშირებით?

- დიახ
- არა
- იშვიათად

2.რა სახის სირთულეები გხვდებათ კლასში მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობასთან დაკავშირებით?

3.რიცხობრივად კლასში რამდენი მოსწავლეა ჩართული საგაკვეთილო პროცესში (ჩაწერე შეფარდებული რაოდენობა მაგ: 15/9)

4.მოსწავლეთა რა ნაწილს უჭირს თქვენს მიერ გაცემული ინსტრუქციების გაგება (ჩაწერე შეფარდებული რაოდენობა)